

თამარ ბინკინაშვილი ¹, ნინო ტატიშვილი ²

თავის ტკივილის ტვირთი და ცხოვრების ხარისხი მოზარდებში საქართველოში

¹DTMU სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

²მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, თბილისი საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.05.03>

TAMAR BITSKINASHVILI¹, NINO TATISHVILI²

HEADACHE BURDEN AND QUALITY OF LIFE IN ADOLESCENTS IN GEORGIA

¹DTMU Medical University, Tbilisi, Georgia; ²M. Iashvili Children's Central Hospital, Tbilisi, Georgia

SUMMARY

Statistical data on the quality of life of adolescents with headaches is unknown in Georgia. The aim of the study is to assess the burden of primary headaches in adolescents. Participants were selected from nine schools in cities and villages, taking into account socio-demographics. The number of participants is 1379 students. The indicators of quality of life caused by headache were assessed. Headaches were more frequent in girls than in boys. This data was statistically significant ($P < 0.05$).

Conclusion: Headaches in adolescents worsen the quality of life, especially in girls.

Keywords: Quality of life, Headache burden, adolescent headache

შესავალი: ერთ მილიარდ ადამიანს აქვს თავის ტკივილი. შაკიკის პრევალენსი კი 14,7%-ია. 2017 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ნევროლოგიური დაავადებები შესაძლებლობების შემზღუდვის ყველაზე ხშირ მიზეზად იქნა აღიარებული. ამ მიზეზთა შორის შაკიკი სიხშირით მეორე ადგილზეა ინსულტის შემდეგ (GBD 2016 Neurology Collaborators, 2019). თავის ტკივილი იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და მზარდ თავის ტკივილით ტვირთს. ამიტომ აუცილებელია მოხდეს თავის ტკივილის ტვირთის შემცირება.

საქართველოში მოზარდებში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევით შაკიკი 6,5%-ით არის წარმოდგენილი, შესაძლო შაკიკი - 9,2%-ით. დაძაბულობის თავის ტკივილი იყო 27,3%. შაკიკის რისკ ფაქტორი იყო დაბალი სოციალური სტატუსი და მდედრობითი სქესი (ზაზა ქაცარავა 2009). მოზარდთა პოპულაციაში აღნიშნული მიმართულებით კვლევები საქართველოში არ ჩატარებულა. ცხოვრების ხარისხის მონაცემები არ არის შესწავლილი. არ ვფლობთ ცოდნას თავის ტკივილის დამოკიდებულების ცხოვრების ხარისხთან. ლიტერატურული წყაროებით არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები თავის ტკივილის სიხშირესა და ცხოვრების ხარისხს შორის სქესის მიხედვით [1].

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ თავის ტკივილის ტვირთი და დავგეგმოთ მისი შემცირებისთვის აუცილებელი ღონისძიებები.


კვლევის მასალა და მეთოდები: კვლევა წარმოადგენს კოჰორტულ - პოპულაციურს, პოპულაციის რაოდენობით 1379, ზღვრული შეცდომა 5%. კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენს კითხვარები (მოზარდების და მასწავლებლების კითხვარები). საქართველოში კვლევა ჩატარდა აღმოსავლეთის, დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთისა და ცენტრალური საქართველოს ცხრა სკოლაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1379 მოსწავლე. ჩართვის კრიტერიუმებს წარმოადგენდა: 12-17 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეები. კვლევის გამორიცხვის კრიტერიუმები იყო: სხვა ასაკობრივი ჯგუფი და უარი კვლევაში მონაწილეობაზე.

სტატისტიკური ანალიზი: მონაცემების აღრიცხვა მოხდა SPSS-ის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაში. სტატისტიკური მონაცემები შეფასებულია Pearson Chi Square ტესტით. გამოთვლილია ალბათობის კოეფიციენტი, წრფივი ხაზოვანი ასოციაციები და ლოგისტიკური რეგრესია. ხაზოვანი რეგრესიით გავზომეთ ცხოვრების ხარისხი ბიჭებში და გოგონებში. შევაფასეთ თავის ტკივილის სტატისტიკური მახასიათებლები გოგონებსა და ბიჭებში. მონაცემები შეფასდა Steiner-ისა და Stovner

კითხვარის მიხედვით, რომელიც ითარგმნა და ადაპტირდა ქართულ სკოლებში. მონაწილეები შეირჩა რანდომულად.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გოგონებში თავის ტკივილი უფრო ხშირია ვიდრე ბიჭებში. გოგონებში თავის ტკივილი წარმოდგენილია 51,8%-ში, ბიჭებში 48,2%-ში (იხ. ცხრილი 1). 12 წლის ასაკში თავის ტკივილი შეადგენდა 16,4%-ს, 13 წლის ასაკში - 22,6 %-ს, 14 წლის მოზარდებში თავის ტკივილის სიხშირე იყო 19,5%, 15 წლის ასაკში - 18,1%, 16 წლის ასაკში - 16,9%, 17-18 წლის ასაკში კი 6,5%. თავის ტკივილი ყველაზე მაღალი სიხშირით წარმოდგენილი იყო 13 წლის ასაკში და ყველაზე დაბალის სიხშირით 17-18 წლის ასაკში (იხ. ცხრილი 2). თავის ტკივილით გამოწვეული ცხოვრების ხარისხის გაუარესების ჯამური პროცენტული მაჩვენებელი მაღალია მოზარდებში. ყოველთვის ჰქონდა ცხოვრების ხარისხი გაუარესებული -13,1%, ზოგჯერ - 43,9%-ს, ხშირად 24,5% - მოზარდს (იხ. ცხრილი 3). შეფასდა ბოლო 1 წლის მანძილზე თავის ტკივილის სიხშირე. თავის ტკივილი ბოლო 1 წლის მანძილზე ჰქონდა 16,2% და არ ჰქონდა 83,8% მოზარდს (იხ. ცხრილი 4). ცალმხრივი თავის ტკივილი ჰქონდა 19,6%-ს, ბილატერალური - 39,4%-ს, ცენტრალური ლოკალიზაციის თავის ტკივილი 24,8%-მოზარდს (იხ. ცხრილი 5). თავის ტკივილის გამო თავს შეუძლოდ გრძნობდა 59,8%, 24,0% თავს არ გრძნობდა შეუძლოდ, დანარჩენი 16% ზოგჯერ გრძნობდა თავს შეუძლოდ ($P<0.05$). თავის ტკივილი უფრო ხშირი იყო გოგონებში, ვიდრე ბიჭებში. ცხოვრების ხარისხის გაუარესების სიხშირე გოგონებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ბიჭებში. P სტატისტიკურად სარწმუნოა ($P<0.05$).


ცხრილი 1




ცხრილი 2

მოზარდის ასაკი (წელი)	12	13	14	15	16	17-18
თავის ტკივილის სიხშირე	16,4%	22,6%	19,5%	18,1%	16,9%	6,5%

ცხრილი 3



ცხრილი 4



ცხრილი 5



დისკუსია: მოზრდილთა თავის ტკივილის ტვირთის შესახებ მსოფლიოს მასშტაბით მრავალი კვლევა არის ჩატარებული, განხილულია მისი პრევალენსი, სქესისა და ასაკის მიხედვით განაწილება, ცხოვრების ხარისხზე ზეგავლენა და ა.შ. საქართველოში 2009 წლის ეპიდემიოლოგიური კვლევის თანახმად, მოზრდილებში შაკიკისა და დაძაბულობის თავის ტკივილის პრევალენტობა ევროპისა და ა.შ.შ-ის მონაცემების მსგავსია - შაკიკი 6,5%, შესაძლო შაკიკი 9,2%, დაძაბულობის თავის ტკივილი 10,0%, შესაძლო დაძაბულობის თავის ტკივილი 27,3%. შაკიკის რისკ-ფაქტორები აღმოჩნდა მდებარეობითი სქესი და დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი [1]. მოზარდთა პოპულაციაში აღნიშნული კვლევები შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი. Lars Jacob Stovner et al. 2016 წლის თავის ტკივილის გლობალური ტვირთის კვლევაში გამოიკვეთა პირველადი თავის ტკივილი როგორც ჯანდაცვის წამყვანი პრობლემა მსოფლიო მასშტაბით.

თავის ტკივილი წარმოდგენილია შაკიკისა და დაძაბულობის თავის ტკივილის მაღალი სიხშირით. 1,04 მილიარდ ადამიანს აქვს შაკიკი გლობალურად. მოზარდებში შაკიკი უფრო მაღალი სიხშირით გვხვდება, ვიდრე დაძაბულობის თავის ტკივილი. აღნიშნულ დებულებებს ეხმიანება საქართველოს მონაცემებიც. შაკიკი ცხოვრების ხარისხის შეზღუდვას მეტად განაპირობებს, ვიდრე დაძაბულობის თავის ტკივილი [2]. ბულგარეთში 7- 17 წლის ასაკის მოსწავლეებში ქრონიკული რეკურენტული თავის ტკივილის კვლევის თანახმად, დაძაბულობის თავის ტკივილმა წარმოადგინა 42,5%, 32% იყო შაკიკი და მეორადი თავის ტკივილი 2,7% [3].

აღნიშნული კვლევისგან განსხვავებით, საქართველოში მოზარდებში შაკიკმა შეადგინა 38.6%, დაძაბულობის თავის ტკივილმა კი - 13.3%, შაკიკის გავრცელება საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ტიპის თავის ტკივილების. ბრაზილიის 2015-2016 წლის მონაცემების მსგავსად, საქართველოში პირველადი თავის ტკივილების სიხშირე აღემატება მეორადი თავის ტკივილების გავრცელებას, პირველ ადგილზეა შაკიკი [4,5], კომპიუტერული თამაშები და ფიზიკური აქტივობა ზრდის თავის ტკივილის სიხშირეს [4]. თავის ტვინის ტრავმა და

ექსტრაკრანიალური ინფექციები არის მეორადი თავის ტკივილის ძირითადი გამომწვევი. ბილატერალური პირველადი თავის ტკივილი უფრო ხშირია, ვიდრე უნილატერალური [5].

ბრაზილიაში თავის ტკივილი მეტად გამოხატულია მამრობით სქესში [4,5]. საქართველოში კი თავის ტკივილი პრევალირებს მდედრობით სქესში. კანადაში ხშირი რეკურენტული თავის ტკივილების შესწავლისას გამოვლინდა დადებითი კორელაცია სიხშირესა და ქცევით დარღვევებს და მაგნე ჩვევებს შორის, (ეკრანთან ხანგრძლივი დროის გატარება, ასევე ცუდი კვება) [6]. აღნიშნული საკითხი საქართველოში არ არის კარგად შესწავლილი. ირანის სკოლებში 2024 წლის მონაცემებით, თავის ტკივილის ტვირთი მაღალია, შაკიკი წარმოდგენილია 25,2%-ში, დაძაბულობის თავის ტკივილი 12,7%-ში [7]. საქართველოს მსგავსად ირანში გვხვდება კორელაცია თავის ტკივილის სიხშირის ზრდასა და ცუდ აკადემიურ მოსწრებას შორის, რაც ასევე აუარესებს ცხოვრების ხარისხს [6,7]. მსგავსი მონაცემებია ტაილანდის სკოლებში [8].

დასკვნა: კვლევამ აჩვენა თავის ტკივილის მაღალი სიხშირე მოზარდებში. 94,9%-ს აქვს თავის ტკივილი. თავის ტკივილი უფრო ხშირი აღმოჩნდა გოგონებში, ვიდრე ბიჭებში. მონაცემი იყო სტატისტიკურად სარწმუნო ($P < 0.05$). ცხოვრების ხარისხის გაუარესება გოგონებში უფრო გამოხატული იყო, ვიდრე ბიჭებში. თავის ტკივილი ბოლო 1 წლის მანძილზე იყო 16,2%. კვლევის მიხედვით, თავის ტკივილის ტვირთი მნიშვნელოვანია. იგი წარმოადგენს სამედიცინო-სოციალურ გამომწვევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Katsarava Z, Dzagnidze A, Kukava M, Mirvelashvili E, Djibuti M, Janelidze M et al. Lifting The Burden: The Global Campaign to Reduce the Burden of Headache Worldwide and the Russian Linguistic Subcommittee of the International Headache Society. Primary headache disorders in the Republic of Georgia: prevalence and risk factors. *Neurology*. 2009Nov24;73(21):1796-803. doi:10.1212/WNL.0b013e3181c34abb. PMID: 19933983
2. Lars Jacob Stovner, Emma Nicolas “GBD 2016 Headache collaborators” *Lancet Neurol* 2019; 18: 459–80 doi:/Au20081001556
3. Pacheva I, Ivanov I, Milanov I, Stefanov R. Distribution of chronic or recurrent headache in children and adolescents in two studies – epidemiological study and clinical-based study. *Pediatr Dimensions* 1: (2016) DOI: 10.15761/PD.1000131
4. Michelle Katherine Andrade, Ana Carolina Rodarte. Prevalence of headaches in adolescents and association with the use of computers and video games. *Ciênc. saúde colet*. 20 (11), Nov 2015. DOI: 10.1590/143-81232015201119272014
5. Moraism LB, Tavares NS, Primo JRL. Headache prevalence in childhood and adolescence at a pediatric neurology service in Salvador, Brazil. *J. Neurology Disorders*: 3(1): 103 (2017). DOI: 10.15744/2454-4981.3.103
6. Nilles C, Williams JV, Patten SB, Pringsheim TM, Orr SL. Lifestyle factors associated with frequent recurrent headaches in children and adolescents: a Canadian population-based study. *Neurology*. Mar 26, 2024; 102(6): e209160. DOI: 10.1212/WNL.0000000000209160
7. Togha M et al. The burdens attributable to primary headache disorders in children and adolescents in Iran: estimates from a school-based study. *J Headache Pain*. May 27, 2024; 25(1):86. DOI:10.1186/s10194-024-01789-0
8. Vitchayaporn Emarach Saenggow: Prevalence and precipitating factors of migraine in secondary school students in Thailand. *Journal of Child Science*, January 2018; 08(01): e50-e54. DOI: 10.1055/s-0038-1669987

თამარ ბინკინაშვილი ¹, ნინო ტატიშვილი ²

თავის ტკივილი და ცხოვრების ხარისხი მოზარდებში საქართველოში

¹DTMU სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო; ²მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, თბილისი საქართველო

რეზიუმე

მოზარდებში თავის ტკივილით განპირობებული ცხოვრების ხარისხის სტატისტიკური მონაცემები საქართველოში უცნობია. კვლევის მიზანია პირველადი თავის ტკივილის ტვირთის შეფასება მოზარდებში. კვლევაში მონაწილეები შეირჩა სოციალურ-დემოგრაფიის გათვალისწინებით ქალაქების და სოფლების ცხრა სკოლიდან. მონაწილეების რაოდენობა არის 1379 მოსწავლე. შეფასდა თავის ტკივილით გამოწვეული ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლები. თავის ტკივილი უფრო ხშირი აღმოჩნდა გოგონებში ვიდრე ბიჭებში. აღნიშნული მონაცემი იყო სტატისტიკურად სარწმუნო ($P < 0.05$). **კვლევის დასკვნა:** თავის ტკივილი მოზარდებში აუარესებს ცხოვრების ხარისხს, განსაკუთრებით გოგონებში.

